აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 7

30/08/2024 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-10 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ (შემოკლებული დასახელება: „ევროპელი დემოკრატები“) თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 30 აგვისტოს წარმოდგენილი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/45) განცხადების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება **„საქართველოს ევროპელი დემოკრატები“** (შემოკლებული დასახელება: **„ევროპელი დემოკრატები“**) საარჩევნო სახელწოდებით: **„ევროპელი დემოკრატები“** და მისი წარმომადგენელი **გიგა შაინიძე**.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე